საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6ª, ტელ: 72-72-00, 72-72-20 ფაქსი: 72-72-37,

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე

№ 44

„22“ „დეკემბერი“ 2008წ.

I. საერთო მონაცემები

1. **საქმიანობის დასახელება** – ნავთობპროდუქტების ბაზა
2. **საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი** – ს.ს. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 74ბ.
3. **განხორციელების ადგილი** – ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, სადგური ლილო
4. **განაცხადის შემოსვლის თარიღი** – 04.12.08.
5. **მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ** – შ.პ.ს. „თი-ენდ ბი“

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ს.ს. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს მიერ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ნავთობპროდუქტების ბაზის საპროექტო დოკუმენტაცია – გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაცის ტექნიკური ანგარიში და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტი.

ს.ს. "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს 10 000 $მ^3$ ტევადობის (80 000ტ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობპროდუქტების საცავი მდებარეობს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, სადგურ ლილოსთან. უახლოესი დასახლებული პუნქტი ობიექტიდან დაცილებულია 500 მეტრით. ნავთობპროდუქტების საცავს უკავია 1,5 ჰა ფართობი, აქედან 0,07 ჰა განაშენიანებულია, ხოლო სარეზერვუარო პარკი – 0,28 ჰა-ზეა. ნავთობბაზა გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტების მიღება-შენახვისა და გაცემა-რეალიზაციისათვის.

წარმოდგენილ პროექტში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის განხილვას, აღწერილია საწარმოს ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები.

პროექტში აღწერილია ნავთობპროდუქტების საცავის განლაგების ადგილის არსებული მდგომარეობის ანალიზი. წარმოდგენილია საწარმოო ობიექტის განლაგების რაიონის გარემოს არსებული მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობლივი მაჩვენებლები. ზოგადი ფიზიკურ-გეოგრაფიული, მეტეოროლოგიური-კლიმატური და ეკოლოგიური მახასიათებლები, ჰიდროლოგიური რესურსების დახასიათება; მოყვანილია საწარმოს ფუნქციონირებისას გარემოზე ზემოქმედების ფაქტორები, მოსალოდნელი ემისიები, მათი სახეობები და ჩატარებულია მათი პარამეტრების გათვლები. დადგენილია საწარმოში გამოყოფილი მავნე ნივთიერებათა (გოგირდწყალბადის, ამილენის, ბენზოლის, ტოლუოლის, ქსილოლის, ეთილბენზოლის, ნახშირწყალბადების C_1-C_6, C_6-C_{10}, C_{12}-C_{19}) კოდი, ზღვრული დასაშვები კონცენტრაციები, გაფრქვევის სიმძლავრეები და საშიშროების კლასი. ჩატარებულია კომპიუტერული ანგარიში.

ანგარიშის თანახმად მოცემული ობიექტი წარმოადგენს ნავთობპროდუქტების რკინიგზის ტრანსპორტით მიმღებ, შემნახველ და მომხმარებელზე ავტოცისტერნებით გამცემ ბაზას. გათვალისწინებულია წელიწადში 80 000ტ ნავთობპროდუქტების მიღება და რეალიზაცია. აქედან 40 000ტ ბენზინის და 40 000 ტ დიზელის საწვავია. სარეზერვუარო პარკი მიწისზედა განლაგებისაა და შედგება 10 ვერტიკალური და 9 ჰორიზონტალური რეზერვუარისგან, ჯამური მოცულობით 9950 $მ^3$. თითოეული ავზი აღჭურვილია სასუნთქი სარქველებით, ჩასასვლელი ლიუკით, ჩასასხმელი მოწყობილობით. ცისტერნების დასაცლელად დამონტაჟებულია ტუმბოები შესაბამისი ნავთობპროდუქტებისათვის. რკინიგზის ჩიხში მოწყობილია კოლექტორი (სიგრძე 25 მ, დიამეტრი 200მმ), რომელიც უზრუნველყოფს სამი ცისტერნის ერთდროულად დაცლას.

როგორც ანგარიშშია აღნიშნული ბაზაში მოწყობილია ნავთობპროდუქტების ჩამოსასხმელი მექანიკური დგარები, აღჭურვილი ტუმბოებით და მრიცხველებით. პარკის ირგვლივ დაგეგმილია ზღუდის მოწყობა შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების ლიკვიდაციისათვის. სანიაღვრე წყლები იკრიბება და ნავთობდამჭერს უერთდება.

ბაზის ელექტრომომარაგება გათვალისწინებულია ქალაქის ელექტროქსელიდან და საჭიროების შემთხვევაში გააჩნია 100კვ/სთ სიმძლავრის დიზელ-გენერატორი.

წარმოების ფუნქციონირებისას, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს სამრეწველო და სანიაღვრე წყლების ჩაშვება. მათი გაწმენდისათვის იგეგმება მოსკოვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ნავთობპროდუქტებიანი წყლების გამწმენდი ნაგებობა წარმადობით 6მ^3/სთ. სამსაფეხურიანი სალექარის გაწმენდის ეფექტურობა დამოკიდებულია დანადგარის ნორმალური ექსპლუატაციის შედეგზე. გაწმენდილი წყალი უერთდება ქ. თბილისის საკანალიზაციო სისტემას.

პროექტში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი ნარჩენების მართვის ზოგადი პრინციპების მოკლე დახასიათებას. მოცემულია ნარჩენების კლასიფიკაცია, ინვენტარიზაცია, იარლიყების დამაგრება, შენახვა და სეგრეგაცია, ნარჩენების ტრანსპორტირება. საწარმოო ობიექტზე მოსალოდნელია სამრეწველო და საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება კონტეინერებში და გატანილი იქნება ქალაქის კომუნალური დასუფთავების მიერ.

ანგარიშში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი ავარიული სიტუაციის საკითხებს. აღწერილია გამომწვევი მიზეზები და განსაზღვრულია დაღვრის კატეგორიები. სარეზერვუარო პარკში მონტაჟდება შესაბამისი ლითონის მეხამრიდები და ხელოვნური დამიწების კონტური ატმოსფერული ელექტრული მოვლენებისა და სტატიკური დენებისგან დაცვის მიზნით. პროექტით გათვალისწინებულია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები: ქაფწარმომქმნელი სითხის ავზები, ხანძარსაწინააღმდეგო წყლის ავზი, სახანძრო სტენდი, სახანძრო ჰიდრანტები.

გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით გათვალისწინებულია გარემოს დაცვის მონიტორინგული სისტემის შექმნა, რაც უზრუნველყოფს გარემოს მდგომარეობაზე მუდმივი დაკვირვების წარმოებას. მონიტორინგის სისტემაში განსაკუთრებული როლი ენიჭება თვითმონიტორინგის ორგანიზაციას.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

III. პირობები

1. ს.ს. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობა ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს გზშ-ს ანგარიშით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაბამისად;
2. განხორციელებული იქნეს ტექნიკისა და შრომის უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვა, ტექნოლოგიური ავარიების თავიდან აცილების მიზნით;
3. ს.ს. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-მ უზრუნველყოს ნავთობპროდუქტების რეზერვუარების აღჭურვა გაფრქვევის შესამცირებელი საშუალებებით.
4. უზრუნველყოფილი იქნეს ოპერირების პროცესში ინსტრუქციით დადგენილი გადატვირთვის რეჟიმების დაცვაზე მუდმივი კონტროლი, რაც განსაზღვრულია ტექნიკური რეგლამენტით და საპასპორტო დოკუმენტაციით.
5. ს.ს. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია”-ს ხელმძღვანელობამ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს:
   ა. გარემოს მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) კონკრეტული გეგმის დამუშავება.
   ბ. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების კონკრეტული გეგმის დამუშავება;
   გ. ნარჩენების მართვის კონკრეტული გეგმის დამუშავება;
   აღნიშნული გეგმები შესათანხმებლად წარმოდგენილი იქნეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.

IV. დასკვნა

ს.ს. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას"-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი 10 000 m^3 ტევადობის (80 000ტ წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობპროდუქტების საცავის საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით.

ლიცენზიებისა და ნებართვების
სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ [illegible]
(სახელი, გვარი)

ბ.ა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 826

ქ. თბილისი "23" 12 2008 წ.

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიაზე" ნავთობპროდუქტების ბაზის ფუნქციონირებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის მე-4 პუნქტის, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიაზე" გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – ქ. თბილისში ნავთობპროდუქტების ბაზის ფუნქციონირებაზე
2. ნებართვის მოქმედების ვადა – უვადო
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №44, 22.12.08 და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, ნებართვის მიმღებ სუბიექტს.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი
ბ ა ნ ც ე ლ ა ტ ი ა

საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 00152

კოდი M D 1 „23" „დეკემბერი" 2008 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი შპს „ვისოდ პეტროლიუმ ჯორჯია"

2. საქმიანობის მიზანი ნავთობპროდუქტების საცავი

3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, სადგური ლილო

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია შპს „თი-ენდ ბი"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №44; 22.12.08

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული პირობების შესრულების შემთხვევაში

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია:

საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ

საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

დოკუმენტებისა და ნებართვების
სამსახურის უფროსი
ნიკოლოზ ჯანნაკია

.....

დამკვეთი: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
დამამზადებელი: მპხ „ფინანსები"
„ს.ფ.ს" რეგისტრაციის №2-0360

ს/ს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია
J.S.C. WISSOL PETROLEUM GEORGIA

22.01.2015
#01/79

გარემოს დაცვის სამინისტროს
გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ 2008 წლის 23 დეკემბერს სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ზე გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული იქნა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №00152.

გთხოვთ, გასცეთ აღნიშნული ნებართვის დუბლიკატი და წარმოდგენილი რუკების დამოწმებული ასლები.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ვ. ხორავა

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 1002
"22" 01 2015 წ.

74B, I. CHAVCHAVADZE AVE.
0162 TBILISI, GEORGIA

TEL.: +995 322 91 53 15
FAX: +995 322 91 52 55

WEB: WWW.WISSOL.GE
E-MAIL: OFFICE@WISSOL.GE

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060162191696515

ბრძანება No-48

ქ. თბილისი **26 / იანვარი / 2015 წ.**

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–17 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის დუბლიკატი ნავთობპროდუქტების საცავზე (თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, სადგური ლილო);
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ზე 2008 წლის 23 დეკემბერს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №00152;
3. ნებართვის მოქმედების ვადა - უვადო;
4. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის უწყებრივი სანებართვო რეგისტრაციის ჟურნალში შესაბამისი ცვლილების განხორციელება;
5. ბრძანების ასლი გაეგზავნოს სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ -ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს წერილი (22.01.2015) და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000126

კოდი MD1 „26" „01" 2015

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი
სს „ვისოლი ენერგეტიკულ ჯორჯია"

2. საქმიანობის მიზანი
ელექტროენერგიის წარმოება

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
ტბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, საფეხურული ტიპი.

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია
შპს „თი-ენდ ბი"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი
ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №44; 22.12.2008.

7. ნებართვის პირობები ნებართვა ზემოქმედების ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების წარმოების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა) გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსი თამარი წულაია

ბ.ა.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს
მინდობილი პირის **ვახტანგ ედილაშვილი**
პირ/№01020010070
და შპს ციტადელი"-ს დირექტორის
ბადრი ბუთხუზის პ/№24001002643

ერთობლივი განცხადება

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისში, სადგურ ლილოს მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.19.15.005.019) სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" (ს/კ: 202161098) ფლობს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას №00126.

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს სურს აღნიშნული ნებართვა მთლიანად გადასცეს ტერიტორიის მფლობელს შპს „ციტადელს" (ს/კ: 208190367).

შპს „ციტადელი" თანახმაა საკუთრებაში მიიღოს აღნიშნული ნებართვა. შეასრულოს და დაიცვას აღნიშნულ ნებართვაში მითითებული ყველა პირობა და ვალდებულება, რაზეც ვაწერთ ხელს.

გთხოვთ, განახორციელოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით.

განცხადებას თან ერთვის:

1. გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №00126 – დუბლიკატი
2. დასკვნა №44 – 22.12.2008წ.
3. მესაკუთრის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
4. სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
5. შპს „ციტადელი"-ს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
6. ხელმომწერი პირების პირადობის მოწმობის ასლები.

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს
მინდობილი პირი **ვახტანგ ედილაშვილი**

შპს „ციტადელი"-ს
დირექტორი ბადრი ბუთხუზი

03.02.2015

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 1782
"04" 02 2015

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060172176438315

ბრძანება No-76

ქ. თბილისი 06 / თებერვალი / 2015 წ.

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „ციტადელი“-ზე გადაცემის შესახებ

,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის'' შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს ნავთობპროდუქტების საცავზე (თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, სადგური ლილო) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შპს „ციტადელი“-ს;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს 2008 წლის 22 დეკემბრის №44 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-სა და შპს „ციტადელი“-ს;
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ზე 2015 წლის 26 იანვარს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №000126;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-სა და შპს „ციტადელი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-სა და შპს „ციტადელი“-ს დირექტორების ერთობლივი განცხადება, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000132

კოდი MD1

„06" „02" 2015

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი

სპკ „კოლსადური"

2. საქმიანობის მიზანი

ნედლეულის წარმოებისთვის ქვების სეკავება

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა

თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ბულაჩაურის ტერიტორია

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია

სპკ „თი-ენერჯი ჯი"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი

კანონქვემდებარე აქტების დასკვნა №44; 22.12.2008.

7. ნებართვის პირობები ნებართვა ძალაშია ექვსი თვის განმავლობაში კანონქმედებაში შესვლის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
(გვარი, სახელი, თანამდებობა) დეპარტამენტის თავმჯდომარე
თამარ ბერიძე

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-125

12/02/2020

ქ. თბილისი

შპს „ციტადელი“-ს ნავთობპროდუქტების ბაზის ფუნქციონირებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 17 იანვარს სამინისტროს მიმართა შპს „ციტადელი“-ს დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2008 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს ნავთობპროდუქტების ბაზის ფუნქციონირებაზე გაცემულია №44 (22.12.2008) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და №00152 (23.12.08) გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2015 წლის 4 თებერვლის სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-სა და შპს „ციტადელი“-ს ერთობლივი განცხადების საფუძველზე, ზემოაღნიშნული ნებართვა გადაეცა შპს „ციტადელს“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2008 წლის №44 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად, ძალადაკარგულად ცხადდება „სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ზე ნავთობპროდუქტების ბაზის ფუნქციონირებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის №826 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2008 წლის №44 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

აგრეთვე, ძალადაკარგულად ცხადდება „სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2015 წლის 26 იანვრის №ი-48 ბრძანება.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ციტადელი“-ს ნავთობპროდუქტების ბაზის ფუნქციონირებაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (№44; 22.12.2008);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:
   4.1. „სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ზე ნავთობპროდუქტების ბაზის ფუნქციონირებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 23 დეკემბრის №826 ბრძანება;
   4.2. „სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2015 წლის 26 იანვრის №ი-48 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ციტადელს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ციტადელი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი